

2017-
2023

შპს გურამ თავართქილაძის სახელობის
თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი

ბიზნესისა და სოციალური
მეცნიერებების ფაკულტეტის

სტრატეგიული განვითარების გეგმა



**შპს გურამ თავართქილაძის სახელობის
თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის**

**ბიზნესისა და სოციალური მეცნიერებების
ფაკულტეტის**

**სტრატეგიული განვითარების გეგმა
2017-2023**

განხილულია და მიღებულია სახელმძღვანელოდ

ფაკულტეტის საბჭოს ოქმი N-----

მოწონებულია და დამტკიცებულია გთთსუ-ს აკადემიური

საბჭოს მიერ ოქმი N -----

რექტორის ბრძანება N -----

შინაარსი

პრეამბულა.....	Error! Bookmark not defined.
1. სტრატეგიული დაგეგმვის პროცესი	6
2. ინსტიტუციური უწყვეტობა და განახლება.....	6
3. გოთსუ-ს ბიზნესისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის მისია	7
4. ფაკულტეტის ფასეულობები და მიზნები	7
5. სტრატეგიული გამოწვევები და სამომავლო პრიორიტეტები.....	8
6. სტრატეგიული მიზნები, ოპერაციული მიზნები და განხორციელების ინიციატივები.....	8
6.1. სტრატეგიული მიზანი 1.	9
6.2. სტრატეგიული მიზანი 2.	12
6.3. სტრატეგიული მიზანი 3.	13
6.4. სტრატეგიული მიზანი 4.	14
7. რესურსები სტრატეგიული მიზნების მიღწევისათვის.....	15
8. გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტმა განსაზღვრა 2017-2023 წლების სტრატეგიული მიზნები, ოპერაციული მიზნები და მათი განხორციელების რეალისტური მექანიზმები, რომელთა ლოგიკური მოდელი ასეთია:.....	16
9. მონიტორინგის გეგმა	21
რეზიუმე.....	24

პრეამბულა

შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის ბიზნესისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტი წარმოადგენს უნივერსიტეტის ერთ-ერთ ძირითად სტრუქტურულ ერთეულს, რომლის საქმიანობა მთლიანად ეყრდნობა გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის მისიითა და სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრულ მიზნებს, ამოცანებსა და მისწრაფებებს, სახელმძღვანელო პრინციპებსა და ფასეულობებს. ემსახურება საქართველოს ეროვნულ ინტერესებს, დააკმაყოფილოს ქვეყნის და საზოგადოების მოთხოვნა შრომის ბაზარზე ორიენტირებულ მაღალი ხარისხის განათლებაზე. დისციპლინირებული; ინტელექტუალური სწავლისა და სწავლების ადეკვატური თანამედროვე პირობების შესაქმნელად.

უნივერსიტეტის გარემოში შექმნილია ფაკულტეტის სასწავლო და სამეცნიერო საქმიანობის წარმატებით განხორციელების ყველა პირობა: თანამედროვე მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, მდიდარი თანამედროვე ბიბლიოთეკით, პროექტორებით აღჭურვილი აუდიტორიებით, რადიო და ტელე ლაბორატორიებით, სასწავლო ბანკით, სასწავლო ტურისტული სააგენტოთი და კონსალტინგის ცენტრით.

ფაკულტეტის მოხმარების არეალში თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურა, სახელმძღვანელოები და სალექციო კურსები სრულად შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებულ შინაარსს. კომპიუტერული ცენტრი აღჭურვილია უახლესი მოდელის ინტერნეტ-ქსელში ჩართული კომპიუტერებით, რაც ხელმისაწვდომია ფაკულტეტის ნებისმიერი სტუდენტისა და პროფესორ-მასწავლებლისთვის.

ფაკულტეტის ერთ-ერთ მნიშვნელოვანი პრიორიტეტია სასწავლო თეორიული ცოდნის პარალელურად სტუდენტებისათვის რეალურ პროფესიულ საქმიანობაში გამოყენებადი პრაქტიკული ცოდნისა და უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება. ამ მიზნის წარმატებით განხორციელებისათვის გადამუშავდა ფაკულტეტზე მოქმედი საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამები. დაემატა ისეთი საგნების/ დისციპლინების სწავლება, რომელიც მოთხოვნილია რეალურ პროფესიულ პრაქტიკულ გარემოში ან/და მიმდინარე დროში განსაკუთრებული აქტუალურობა შეიძინა. კერძოდ, ფაკულტეტზე სასწავლო პროგრამაში ჩართული იქნა და ისწავლება საბუღალტრო აღრიცხვის ელექტრონული პროგრამის „ორისი“, საბანკო მომსახურების ელექტრონული პროგრამა „ბანკი-2000“, სასწავლო დისციპლინები: -ვეროკავშირთან ეკონომიკური ინტეგრაცია და სხვა.

უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის და აკადემიური საბჭოს მხარდაჭერით შეიქმნა სპეციალიზირებული სასწავლო პრაქტიკული ლაბორატორიები და კაბინეტები. კერძოდ, ბიზნეს ინკუბატორი: იმიტირებული „სასწავლო ბანკი“, კონსალტინგური ცენტრი, სასწავლო ტურისტული სააგენტო, სპეციალური ტექნიკური საშუალებებით აღჭურვილი სასწავლო რადიო და ტელე ლაბორატორია. ფსიქოლოგიის კაბინეტი, ინფორმატიკის კაბინეტ-ლაბორატორია.


გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის ბიზნესისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის სტრუქტურა და შინაგანაწესი ჰარმონიულად ერწყმის უნივერსიტეტის მისიის, მიზნებსა და ამოცანების შესრულებას სტუდენტთა შრომის ბაზარზე მაღალი ხარისხის კონკურენტუნარიან განათლებაზე ორიენტირებული თანამედროვე მოთხოვნების დაკმაყოფილების თაობაზე.

სტუდენტები აქტიურად არიან ჩართულნი საუნივერსიტეტო ცხოვრებაში, მონაწილეობენ საგანმანათლებლო პროგრამების შინაარსის ჩამოყალიბების, აკადემიური პროცესების მონიტორინგისა და უნივერსიტეტში მიმდინარე პროცესების მართვაში, აგრეთვე სამეცნიერო აქტივობებში.

სტუდენტური თვითმმართველობა, სტუდენტთა ინტერესების მიხედვით შექმნილი გაერთიანებები, სტუდენტური კლუბი „რეპორტიორი“ და სტუდენტ ეკონომისტთა კლუბი. უზრუნველყოფს თავისუფალი დროის რაციონალურად გამოყენებას, ჯანსაღი ცხოვრების წესისა და სტუდენტთა სამეცნიერო და შემოქმედებითი პოტენციალის განვითარებას.

ფაკულტეტი უზრუნველყოფს სტუდენტთათვის თანამედროვე მეცნიერებაზე დაფუძნებული ცოდნის მიწოდებას თეორიისა და პრაქტიკის დაბალანსებული მოდელის მეშვეობით.

ფაკულტეტზე ხორციელდება პირველი და მეორე საფეხურის აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამები, მათგან 4 საბაკალავრო და 5 სამაგისტრო პროგრამა.



გათსუ-ს ბიზნესისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტი სასწავლო-სამეცნიერო საქმიანობის განმახორციელებელი სტრუქტურული ერთეულებია:

1. ბიზნესის მართვის კათედრა;
2. ფინანსებისა და ეკონომიკის კათედრა;
3. საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრა;
4. ჟურნალისტიკის კათედრა;
5. ინფორმატიკის კათედრა;
6. უცხო ენების ცენტრი;

დამხმარე სტრუქტურები:

სასწავლო ინკუბატორი:

- GT სასწავლო ბანკი;
- GT სასწავლო ტურისტული სააგენტო;
- GT კონსალტიგური ცენტრი
- ტელე-რადიო ლაბორატორია;
- ფსიქოლოგიის კაბინეტი.

ბიზნესისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტი სრულიად იზიარებს გთოსუ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას, შესაბამისად ითვალისწინებს ვალდებულებებს დემოკრატიის წინაშე, გმობს რასიზმს, ქსენოფობიას და რელიგიურ შეუწყნარებლობას, ამ სულისკვეთებას უზიარებს და გადასცემს სტუდენტებს;

გაიაზრებს ფაკულტეტის როლსა და ამოცანას საგანმანათლებლო და სამეცნიერო საქმიანობაში და თავისი წვლილი შეაქვს პროფესიული კადრების აღზრდაში.

1. სტრატეგიული დაგეგმვის პროცესი

ფაკულტეტის სტრატეგიული გეგმა წარმოადგენს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის სტრატეგიული გეგმის შემადგენელ ნაწილს, რომელიც გვეხმარება მისიის რეალიზაციაში. ის გამოხატავს უნივერსიტეტის მისწრაფებებს, გვაჩვენებს მომავალი შვიდი წლის განმავლობაში მკაფიო მიმართულებას ფაკულტეტის ხედვებსა და ვალდებულებებს უნივერსიტეტის, სტუდენტების, აკადემიური პერსონალის მიმართ და აკონკრეტებს ფაკულტეტის საქმიანობის შედეგების შესაბამისობას უნივერსიტეტის საერთო მომავლის პერსპექტივასთან.

ფაკულტეტის შვიდწლიან (2017-2023) სტრატეგიული გეგმაში ასახულია უნივერსიტეტის განვითარების პოლიტიკის ყველა ძირითადი და პრინციპული მიმართულებები. ის შემუშავდა უნივერსიტეტის მისიისა და სტრატეგიის საფუძველზე და წარმოადგენს შეჯერებულ დოკუმენტს, რომელიც ასახავს ფაკულტეტის ადმინისტრაციის, სტუდენტთა, ფაკულტეტთან მუდმივად მოთანამშრომლედ დამსაქმებელთა და შესაბამისი პროფილის საზოგადოებრივი ორგანიზაციების ინტერესებს. გეგმის შედგენის პროცესში გათვალისწინებულია პარტნიორი უნივერსიტეტების გამოცდილება, დამსაქმებლის ინტერესები.

ფაკულტეტის განვითარების სტრატეგიული გეგმა შემუშავდა უნივერსიტეტის დოკუმენტის „სტრატეგიული დაგეგმვის პროცესი და მეთოდოლოგია“ საფუძველზე, გამოყენებულია აგრეთვე სტრატეგიული საუნივერსიტეტო გეგმის შედგენის სტრუქტურა, შინაარსი და საკითხების თანმიმდევრობა.

2. ინსტიტუციური უწყვეტობა და განახლება

ინსტიტუციური განვითარების უწყვეტობა და განახლება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული მის სტრუქტურულ მოწყობაზე. ორგანიზაციის სტრუქტურა არსებით როლს თამაშობს სტრატეგიის განხორციელებაში. მასზეა დამოკიდებული ფაკულტეტის თანამშრომელთა, პროფესორ მასწავლებელთა ძალისხმევა და დახარჯული რესურსების მოცემულობა ძირითადი საგანმანათლებლო შინაარსის ამოცანების შესასრულებლად, მოქნილი და ეფექტიანი, დროული და ხარისხიანი სტრატეგიული გადაწყვეტილებების რეალიზაციის მიზნით.

გთოსუს ბიზნესისა და სოციალური მეცნიერებათა ფაკულტეტის სტრუქტურა, სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები და უფლება-მოვალეობები განისაზღვრა შინაგანაწესით. ამასთან 2017 წელს განხორციელდა სოციალურ მეცნიერებათა და ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტების შერწყმა. რითაც მიღწეულ იქნა საუნივერსიტეტო სტრუქტურის ოპტიმიზაცია.

ფაკულტეტზე მოქმედი სტრუქტურული ერთეულები, ფლობენ სტრატეგიის რეალიზებისთვის აუცილებელ კომპეტენციებს, შესაძლებლობებს და რესურსულ ბაზას; მიმდინარე პერიოდში ფაკულტეტის სტრუქტურა წარმოდგენილია ფაკულტეტის დეკანატის, 5 კათედრის, უცხო ენების ცენტრის და სასწავლო პრაქტიკული საქმიანობის დამხმარე ერთეულების (სასწავლო ბანკი; კონსალტინგური ცენტრი; სასწავლო ტურისტული სააგენტო, სასწავლო რადიო და ტელე ლაბორატორია, ფსიქოლოგიის კაბინეტი და ინფორმატიკის კაბინეტ-ლაბორატორიის სახით).

3. გოთსუ-ს ბიზნესისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის მისია

ბიზნესისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის მისია ეფუძნება გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის მისიას ემსახურება ევროპული უმაღლესი განათლების მიზნებს და ასახავს უნივერსიტეტის ძირითად დანიშნულებას და როლს საგანმანათლებლო სივრცეში.

გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის ბიზნესისა და სოციალური მეცნიერებების მისიაა: თავისი წვლილი შეიტანოს ავტორიტეტულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებად დამკვიდრების საქმეში.

ფაკულტეტი, როგორც გოთსუ-ს შემადგენელი სტრუქტურული ერთეული და მისი განუყოფელი ნაწილი, სამეცნიერო პედაგოგიური საქმიანობა სოციალურად და მორალურად პასუხისმგებლიანია, მოწოდებულია სისტემატიურად გაანალიზოს მისიითა და სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული ვალდებულებები, საჭიროების შემთხვევაში განახლოს, შეიტანოს ცვლილებები. უზრუნველყოს სასწავლო უნივერსიტეტის მიმართ წაყენებული მოთხოვნების შესაბამისობა ეროვნული ინტერესების შესატყვისი საგანმანათლებლო საქმიანობის განსახორციელებლად.

4. ფაკულტეტის ფასეულობები და მიზნები

ფაკულტეტის მისიის ღირებულებები, მისწრაფებები და სახელმძღვანელო პრინციპები გაზიარებულია და მხარდაჭერილია უნივერსიტეტში აღიარებული ძირითადი ღირებულებებით, მისწრაფებებით და სახელმძღვანელო პრინციპებით.

ფაკულტეტის მისიის ძირითადი ღირებულებებია:

ეროვნული ინტერესების დაცვა, გუნდური მუშაობა, ინფორმაციის გამჭვირვალობა და სამართლიანობა, პროფესიონალიზმი, ზოგადსაკაცობრიო იდეალებსა და ფასეულობებისადმი პატივისცემა;

ფაკულტეტის ფასეულობები და მიზნებია კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფა; ხარისხიანი სწავლა - სწავლების პროცესის განხორციელება; განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა; ინტერნაციონალიზმის პროცესის გაფართოება.

5. სტრატეგიული გამოწვევები და სამომავლო პრიორიტეტები

სამომავლო პრიორიტეტების განსაზღვრისას ძალზე მნიშვნელოვანია იმ გამოწვევების გათვალისწინება, რომელთა წინაშე დგას ზოგადად უმაღლესი განათლების სისტემა და კერძოდ, მცირე ზომის კერძო უმაღლესი სასწავლებლები.

საქართველოს საგანმანათლებლო ბაზარი უაღრესად გაჯერებულია უმაღლესი სასწავლო დაწესებულებებში, ბიზნესის ადმინისტრირების, ტურიზმის, ჟურნალისტიკის, ფსიქოლოგიის სპეციალობის სასწავლო პროგრამებით რაც მძაფრი კონკურენციის პირობებში აყენებს მათ.

ფაკულტეტზე დღეისათვის მოქმედი სასწავლო პროგრამები მძაფრ კონკურენტულ და რთულ პირობებში, აბიტურიენტთა დაბალი მოთხოვნადობის ტენდენციებით ხასიათდება. შესაბამისად, ფაკულტეტის სასწავლო პროგრამების კონკურენტუნარიანობის ზრდის ერთერთ პერსპექტივად გთოსუ მიიჩნევს სახელმწიფო ინიციატივას: „Study in Georgia“, რომლის ფარგლებში სერიოზულ ძალისხმევას გასწევს უცხოურენოვანი პროგრამების მომზადების და უცხოელი სტუდენტების მოზიდვის საქმეში, რაც დადებითად აისახება მის ფინანსურ მდგრადობაზე. ამზადებს წინადადებებს მარკეტინგული ხერხებისა, უნივერსიტეტის მიმზიდველობის ხარისხის გასაძლიერებლად, სწავლების საფასურის გაზრდა, პარალელური დამატებითი შემოსავლების (შეკვეთილი კვლევების, სამეცნიერო და სასწავლო ლიტერატურის, სახელმძღვანელოების შექმნისა და გამოცემის, თარგმნის და სხვა.) მოზიდვის მიზნით.

მიუხედავად იმისა, რომ ამ ეტაპზე ფაკულტეტი არ განიცდის კვალიფიციური აკადემიური პერსონალის ნაკლებობას, მისი „დაბერების“ ტენდენცია და თაობათა ცვლის უწყვეტობა ახლო მომავალში პრობლემად იქცევა. შესაბამისად, ამ კონტექსტში ფაკულტეტი გეგმავს ახალგაზრდა მეცნიერ-პედაგოგების მოზიდვას და მათ განვითარებაზე ზრუნვას.

ფაკულტეტის წინაშე არსებული გამოწვევები და მათი შემხვედრი ინიციატივები თანხვედრია უნივერსიტეტის საერთო ინტერესებთან.

6. სტრატეგიული მიზნები, ოპერაციული მიზნები და განხორციელების საშუალებები

6.1. სტრატეგიული მიზანი 1.

დისციპლინირებული ინტელექტუალური საქმიანობა და მისი სრულყოფა განათლების ყველა ასპექტის ხარისხის გაუმჯობესებით

ხარისხიანი განათლება ითვალისწინებს დაინტერესებული მხარეების ინტერესებს და უნდა იყოს ანგარიშვალდებული, ტრანსფორმირებადი, სტუდენტთა, დამსაქმებლებისა და ზოგადად საზოგადოებისთვის სარგებლის მომტანი განათლება!

აღნიშნულის გათვალისწინებით ფაკულტეტის ამოცანებია:

- საგანმანათლებლო პროგრამების, ხარისხის განვითარების უზრუნველყოფა;
- თანამედროვე მოთხოვნადი ახალი პროგრამების შემუშავება;
- უცხოენოვანი პროგრამების შემუშავება/დანერგვა;
- აკადემიური პერსონალის ხარისხის განვითარების ხელშეწყობა;
- სტუდენტთა დასაქმების ხელშეწყობა
- მოტივირებული და ერთგულ სტუდენტთა არეალის გაფართოება

სტრატეგიული მიზნის მისაღწევად დასახული ოპერაციული მიზნები და განსახორციელებელი ინიციატივებია:

ოპერაციული მიზანი 1.	განსახორციელებელი ინიციატივები
----------------------	--------------------------------

<p>ფაკულტეტი შესთავაზებს სტუდენტებს მაღალ ხარისხზე და შედეგზე ორიენტირებულ საგანმანათლებლო მომსახურებას</p>	<p>1.1. შრომის ბაზრის კვლევა (პირველადი და მეორადი), მოთხოვნადი სპეციალობის იდენტიფიცირება და პროგნოზულ სამომავლო მოთხოვნებზე საინფორმაციო ბაზის შექმნა;</p> <p>1.2. საგანმანათლებლო პროგრამების რელევანტობის უზრუნველყოფა სტუდენტთა და დამსაქმებელთა კვლევაზე დაფუძნებული ცვალებადი მოთხოვნების შესაბამისად;</p> <p>1.3. საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში მოქმედი და ფაკულტეტზე მოქმედი პროგრამების სისტემატური შედარება;</p> <p>1.4. პროგრამის/კურსების აქტუალობის შეფასება განახლება-დახვეწა ბენჩმარკინგის საფუძველზე;</p> <p>1.5. თანამედროვე მეცნიერულ მიღწევებსა და ცოდნაზე დაფუძნებული პროგრამების შემდგომი დივერსიფიკაცია;</p> <p>1.6. პროგრამების ხარისხის პერიოდული შეფასება;</p> <p>1.7. პროგრამების განხორციელების მონიტორინგის მექანიზმების გაუმჯობესება.</p> <p>1.8. ძირითადი და დამხმარე სასწავლო ლიტერატურის მათ შორის სასწავლო კურსების ბეჭდური და ელექტრონული ვერსიების განახლება, მომზადება, თარგმნა.</p>
<p>ოპერაციული მიზანი 2.</p>	<p>განსახორციელებელი ინიციატივები</p>
<p>აკადემიური პერსონალის აკადემიზმის სტანდარტებისა და ანგარიშვალდებულების ზრდა</p>	<p>2.1 სტრატეგიული პრიორიტეტების გათვალისწინებით მაღალი პროფესიონალიზმითა და მდიდარი პრაქტიკული გამოცდილების მქონე აკადემიური პერსონალის მოზიდვა. კონკურსების გამოცხადება და შესარჩევი საკონკურსო კრიტერიუმების დახვეწა;</p>
<p>ოპერაციული მიზანი 3.</p>	<p>განსახორციელებელი ინიციატივები</p>
<p>პედაგოგიკის თანამედროვე მიღწევების დანერგვა და პედაგოგთა პროფესიული მხარდაჭერის პროექტების შემდგომი განვითარება</p>	<p>3.1 ინოვაციური სწავლების, თანამედროვე სწავლის მეთოდების შეფასების ინსტრუმენტების სრულყოფა;</p> <p>3.2 ელექტრონული/დისტანციური სწავლების ელემენტების მეტი ინტეგრირება სწავლების პროცესში;</p> <p>3.3 აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლება სწავლების მრავალფეროვანი, თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების მიმართულებით;</p> <p>3.4 ფაკულტეტზე პედაგოგიური საქმიანობის ხარისხის შეფასების მეთოდების გაუმჯობესება;</p>
<p>ოპერაციული მიზანი 4.</p>	<p>განსახორციელებელი ინიციატივები:</p>
<p>სტუდენტის აკადემიური მიღწევების ხარისხის ზრდა</p>	<p>4.1. ინტერაქციის გაღრმავება და გაუმჯობესება ფაკულტეტებსა და სტუდენტებს, კათედრებსა და სტუდენტებს, ლექტორებსა და სტუდენტებს შორის;</p> <p>4.2. თეორიული ცოდნის პრაქტიკასთან დაახლოების მეთოდებისა და შესაძლებლობების მაქსიმალური ზრდა-განვითარება; 1. სტუდენტთათვის პრაქტიკული მეცადინეობების ადგილზე ჩატარების პირობების</p>

	<p>უზრუნველყოფა, ფაკულტეტზე მოქმედი ლაბორატორიების, კლინიკების, სასწავლო ბანკის, კონსალტინგური ცენტრის, ტურისტული სააგენტოს, სავლე კვლევებისა და სხვათა მოქმედების არეალის შემდგომი სრულყოფის გზით;</p> <p>4.3. სამინისტროებსა და უწყებებში, სხვა ორგანიზაციებში სტუდენტებისათვის გასვლითი სემინარების, პროფესიული შეხვედრები, საჯარო ლექციების და სხვა ღონისძიებების ორგანიზება;</p> <p>4.4. პარტნიორი ორგანიზაციების (დამსაქმებლების) ქსელის გაფართოება თანამშრომლების ფორმატში სასწავლო პროგრამებისა და დისციპლინების (კურსის) დახვეწა-განახლება სტუდენტთა პრაქტიკის, სტაჟირების და შემდგომი დასაქმების უზრუნველსაყოფად;</p> <p>4.5. პარტნიორი უნივერსიტეტების ქსელის შემდგომი გაფართოება;ერთობლივი კურსების, პროგრამების მომზადებისა და განხორციელების, სხვადასხვა გაცვლით პროგრამებში მონაწილეობის პირობების შექმნა;</p> <p>4.6. კურსების, ტრენინგების, მასტერ-კლასების ორგანიზება სტუდენტთა განათლების დივერსიფიცირებისათვის;</p> <p>4.7. ფაკულტეტის სტუდენტთა აკადემიური ჩამორჩენისა და განთესვის მიზეზების კვლევა;</p> <p>4.8. სტუდენტთა სამეცნიერო, შემოქმედებითი ინიციატივებისა და აქტივობების ყოველმხრივი წახალისება და მხარდაჭერა;</p> <p>4.9. სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება და ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;</p> <p>4.10. სტუდენტთა თვითმმართველობის და ინტერესთა მიხედვით სტუდენტური გაერთიანებების საქმიანობის ხელშეწყობა.</p>
<p>ოპერაციული მიზანი 5.</p>	<p>განსახორციელებელი ინიციატივები:</p>
<p>განათლების მიღების უფლების საყოველთაობის (ინკლუზიური განათლება) და სტუდენტისთვის მაღალი ხარისხის განათლების მიღების პირობების შექმნა და შემდგომი განვითარება</p>	<p>5.1. განსხვავებული მოთხოვნების, სპეციალური საჭიროებების სტუდენტების საგანმანათლებლო პროცესში შეუფერხებელი ჩართულობის უზრუნველყოფა ;</p> <p>5.2. სსსმ სტუდენტის სწავლა-სწავლების პროცესის დაგეგმვა და წარმართვა ინდივიდუალური სასწავლო გეგმების მეშვეობით;</p> <p>5.3. სტუდენტისთვის ინდივიდუალურად მორგებული სასწავლო გარემოს მოწყობისა და მისთვის ინდივიდუალურად დაზუსტებული სწავლის შედეგების, მიზნებისა და სწავლა-სწავლების სტრატეგიების განსაზღვრა;</p> <p>5.4. სწავლების სტრატეგიებისა და მეთოდების გამრავალფეროვნება, სწავლა-სწავლების პროცესის ხელმისაწვდომობა;</p>

<p>ოპერაციული მიზანი 6.</p>	<p>განსახორციელებელი ინიციატივები:</p>
<p>სტუდენტთა დასაქმების ყოველმხრივი ხელშეწყობა</p>	<p>6.1. სტუდენტთა დასაქმების ხელშეწყობი ღონისძიებების გაფართოება, დამსაქმებლებთან კომუნიკაციის გაღრმავება და კონტაქტების გაფართოება, ახალი შესაძლებლობების ძიება;</p> <p>6.2. დამსაქმებელთა კმაყოფილების კვლევა;</p> <p>6.3. კურსდამთავრებულებთან თანამშრომლობის ფორმატის მეტი კომუნიკაციის უზრუნველყოფა;</p>
<p>ოპერაციული მიზანი 7.</p>	<p>განსახორციელებელი ინიციატივები:</p>
<p>“სწავლა მთელი ცხოვრების განმავლობაში -LLL” გთთსუს, როგორც ზრდასრულთა განათლების ავტორიტეტული დაწესებულების პოზიციონირება</p>	<p>7.1. ზრდასრულთათვის მოკლე და/ან გრძელვადიანი კურსების, ტრენინგების ჩატარების მოქნილი ფორმების შემუშავება-განხორციელება (მათ შორის ელექტრონული სწავლება);</p>
<p>ოპერაციული მიზანი 8.</p>	<p>განსახორციელებელი ინიციატივები:</p>
<p>ბიზნესისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის ორგანიზაციული სტრუქტურის ეფექტიანობის გაუმჯობესება</p>	<p>8.1. სტრუქტურული ერთეულების ფუნქციონირების ეფექტიანობის უზრუნველყოფის მექანიზმების გაუმჯობესება;</p> <p>8.2. მათი ფუნქციების და პასუხისმგებლობების მკაფიო გამიჯვნა და დუბლირების აღმოფხვრა;</p> <p>8.3. ორგანიზაციული სტრუქტურის შესაბამისობა საუნივერსიტეტო მისიას, სტრატეგიულ მიზნებსა და განათლების თანამედროვე მოთხოვნებთან;</p> <p>8.4. სტრუქტურული ერთეულების მართვის ოპერატიულობისა და მოქნილობის მექანიზმების გაუმჯობესება; სასწავლო პროცესის მართვაში თანამედროვე საინფორმაციო სისტემების ეფექტიანი გამოყენება;</p> <p>8.5. სტრუქტურულ ერთეულთა შორის კოორდინაციის გაუმჯობესება და მართვის ხარისხის ამაღლება.</p>

ამ სტრატეგიული მიზნის განხორციელებით შედეგად ველოთ, რომ :

- საზოგადოებას შევთავაზებთ მაღალი სტანდარტის, საერთაშორისო საგანმანათლებლო მოთხოვნების ადეკვატურ, შედეგზე და ცვლად მოთხოვნებზე ორიენტირებულ საგანმანათლებლო მომსახურებას;
- გავაძლიერებთ პედაგოგიკის თანამედროვე მიდგომებით აღჭურვილ, აკადემიზმის მაღალი სტანდარტებითა და მაღალი პასუხისმგებლობით გამორჩეული აკადემიური პერსონალის შემადგენლობას;

- შევძლებთ სტუდენტის აკადემიური მიღწევების ხარისხის და შესაბამისად, სტუდენტთა დასაქმების მაჩვენებლის საგრძნობ ზრდას;
- მოვიპოვებთ ზრდასრულთა განათლების ავტორიტეტული დაწესებულების სახელს და წარმატებით განვახორციელებთ შესაბამის პროგრამებს;
- საუნივერსიტეტო ფიზიკური გარემო უფრო მეტად იქნება სტრატეგიულად ორიენტირებული, ხოლო კორექტირებული ორგანიზაციული სტრუქტურა ფოკუსირებული იქნება სტრატეგიის რეალიზებაზე, კომპეტენციებზე, შესაძლებლობებსა და რესურსულ ბაზაზე;

6.2. სტრატეგიული მიზანი 2.

კვლევის, ნოვაციებისა და კრეატიულობის ყოველმხრივი მხარდაჭერა;

გთოსუს ცნობადობის და რეპუტაციის ამაღლება

ოპერაციული მიზანი 1.	განსახორციელებელი ინიციატივები:
სამეცნიერო საქმიანობის ხარისხის ამაღლება და ინტენსიფიკაცია	1.1. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ახალი პრიორიტეტების განსაზღვრა განხორციელება; 1.2. სტუდენტების სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში ჩართვა
ოპერაციული მიზანი 2.	განსახორციელებელი ინიციატივები:
საერთაშორისო პუბლიკაციების წამახალისებელი პროექტების შემუშავება	2.1. კვლევების გამოქვეყნებამდე და გამოქვეყნებისათვის გასაწევი საქმიანობათა ჩატარება;
ოპერაციული მიზანი 3.	განსახორციელებელი ინიციატივები:
სამეცნიერო აქტივობების მენეჯმენტის ხარისხის გაუმჯობესება	3.1. თანამშრომელთა და სტუდენტთათვის სამეცნიერო ფორუმების, კოლოქვიუმების, სემინარების ჩატარების ორგანიზება; 3.2. რესპუბლიკური და საერთაშორისო მასშტაბის ღონისძიებებში (სამეცნიერო ფესტივალები, გამოფენები და სხვა) მონაწილეობის ხელშეწყობა; 3.3. ადგილობრივი და საერთაშორისო საგრანტო კონკურსების შესახებ ინფორმაციის სისტემატური მოძიება და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა; 3.4. მნიშვნელოვან ელექტრონულ ბაზებთან წვდომის უზრუნველყოფა; 3.5. აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასება და მხარდაჭერა.

შედეგი:

- გაუმჯობესდება გთოსუს სამეცნიერო საქმიანობის ხარისხი, ბიზნესისა და სოციალური მეცნიერებების მიმართულებით;
- გთოსუს სამეცნიერო პოტენციალის ეროვნულ და საერთაშორისო ცნობადობის ამაღლება;

რისკები/ბარიერები

- აკადემიური პერსონალის შესაძლო დაბალი მოტივაცია;
- საერთაშორისო ჟურნალებში გამოქვეყნების მაღალი ხარჯები;

6.3. სტრატეგიული მიზანი 3.

ინსტიტუციური ინტერნაციონალიზაციის გაღრმავება და შემდგომი განვითარება.

ფაკულტეტი ხელს უწყობს ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში საქართველოს ინტეგრაციის სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელებას ზრუნავს უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციისათვის.

ოპრაციული მიზნები და განსახორციელებელი ამოცანები:

ოპერაციული მიზანი 1.	განსახორციელებელი ამოცანები:
<p>უცხოურენოვანი, მათ შორის ერთობლივი, პროგრამების, მოდულების, კურსების მომზადება და უცხოელი სტუდენტების მოზიდვის ტაქტიკის შემუშავება</p>	<p>1.1 ინგლისურენოვანი პროგრამები ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულებით;</p> <p>1.2 პრიორიტეტების განსაზღვრა და ერთობლივი პროგრამის, მოდულების, კურსების მომზადება;</p> <p>1.3 30 კრედიტიანი მოდულის მომზადება ერაზმუსის სტუდენტებისათვის ტურიზმის, ბიზნესის ადინისტრირების, ჟურნალისტიკის მიმართულებით;</p> <p>1.4 მიზნობრივი სეგმენტების განსაზღვრა და უცხოელ სტუდენტთა მოზიდვის სტრატეგიის შემუშავება - განხორციელება;</p> <p>1.5 საერთაშორისო სტუდენტების მომსახურების ტაქტიკის შემუშავება.</p>

ამ სტრატეგიული მიზნის განხორციელების შედეგად ველით, რომ :

- უცხოურენოვან პროგრამების შექმნა და რეალიზაცია, საშუალებას მოგვცემს მოვიზიდოთ უცხოელი სტუდენტები და საუნივერსიტეტო გარემო მეტად ინტერნაციონალური გავხადოთ;
- გაიზრდება შემოსავლები.

რისკები/ბარიერები

- სახელმწიფო საგანმანათლებლო პოლიტიკის შეცვლა ინტერნაციონალიზაციის საკითხებში სსიპ-ების სასარგებლოდ;
- პარტნიორთა მხრიდან ვალდებულებების შეუსრულებლობა;
- უცხო ენების ცოდნის დაბალი დონე;

- უცხოელი სტუდენტების საცხოვრისის პრობლემა.

6.4. სტრატეგიული მიზანი 4.

ფაკულტეტის ინსტიტუციური მდგრადობის უზრუნველყოფა

ამ სტრატეგიული მიზნის განსახორციელებლად შემუშავებული ოპერაციული მიზნები და განხორციელების მექანიზმები:

ოპერაციული მიზანი 1.	განსახორციელებელი ინიციატივები:
საუნივერსიტეტო გარემოს მდგრადობის უზრუნველყოფა. სტრატეგიულად ორიენტირებული ფიზიკური გარემოს შემდგომი განვითარება-განახლება	1.1 სწავლება-სწავლის, სამეცნიერო საქმიანობისა და ჯანსაღი სტუდენტური ცხოვრებისათვის თანამედროვე და კომფორტული გარემოს შემდგომი განვითარება; 1.2 ბიბლიოთეკის ფონდის განახლება-გამდიდრება და სერვისების გაუმჯობესება;
ოპერაციული მიზანი 2.	განსახორციელებელი ინიციატივები:
მდგრადი საზოგადოებრივი სტატუსის მოპოვება : გთოსუს როლის ზრდა საზოგადოების ტრანსფორმაციასა და განვითარებაში სწავლა სიცოცხლის ბოლომდე კონტექსტში	2.1 კონსულტაციები დასაქმების მსურველთათვის ბიზნეს გეგმის შედგენას და მართვაში; 2.2 საინფორმაციო ტექნოლოგიების მოკლე კურსი დასაქმების მსურველთათვის; 2.3 ინგლისური ენის მოკლე კურსი დასაქმების მსურველთათვის; 2.4 საქველმოქმედო ღონისძიებებში ჩართვა და ან მათი ორგანიზება.

განხორციელების შედეგი:

- სტუდენტის პრაქტიკული მეცადინეობის/ სწავლების ხელშეწყობა და მრავალფეროვანი მომსახურების შეთავაზება რისკები/ბარიერები
- ეკონომიკური და სოციალური არასტაბილურობა;

7. რესურსები სტრატეგიული მიზნების მიღწევისათვის

საგანმანათლებლო რესურსები:

სასწავლო პროგრამები, მათი განხორციელების ხარისხი, სრულყოფის შესაძლებლობა, რელევანტური და მდიდარი ბეჭდური თუ ელექტრონული ლიტერატურა ფაკულტეტის მნიშვნელოვანი რესურსია. პროგრამები და მათი განხორციელების ხარისხი ყოველწლიურად ფასდება და იხვეწება საერთაშორისო პროგრამების და საუკეთესო ქართული გამოცდილების გათვალისწინებით.

ფაკულტეტს ჩამოყალიბებული აქვს მისია, მიზნები და ამოცანები, რაც შეესაბამება საუნივერსიტეტო სტრატეგიას, შექმნილია პარტნიორი და დამსაქმებელი წრეების ქსელი და აძლევს სტუდენტებს პრაქტიკის/სტაჟირების გავლისა და დასაქმების შესაძლებლობას, განათლების და პრაქტიკული უნარების გაღრმავების საშუალებას დამატებითი ღონისძიებებით (ტრენინგები, მოკლევადიანი კურსები, ვორქშოფები, მასტერ-კლასები).

ადამიანური რესურსი

სტუდენტები, აკადემიური პერსონალი და საქმისადმი ერთგული თანამშრომლების გუნდი ფაკულტეტის მთავარი რესურსია. ფაკულტეტი ზრუნავს მათ პროფესიულ ზრდაზე, კმაყოფილებაზე, უქმნის კომფორტულ ფიზიკურ და მორალურ გარემოს და სთავაზობს სხვადასხვაგვარ სერვისებს.

მატერიალურ-ტექნიკური რესურსი

მატერიალური რესურსები, მათი გაუმჯობესება, განვითარება და ეფექტიანი გამოყენება ფაკულტეტის მუდმივი ზრუნვის საგანია. ფაკულტეტი საგანმანათლებლო და სამეცნიერო მუშაობას ახორციელებს თანამედროვე და კომფორტულ გარემოში; თანამედროვე ტექნოლოგიების ადჭურვილი აუდიტორიებში; სასწავლო ლაბორატორიებში; კომპიუტერულ კლასებში. ფაკულტეტისათვის ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის საბიბლიოთეკო ფონდი. მასში არსებული ელექტრონული ბაზებითა და ბეჭდური წიგნადი ფონდით. სტუდენტებისათვის არსებობს სპორტული მოედანი.

8. გურამ თავართქილაძის სასწავლო უნივერსიტეტმა განსაზღვრა 2017-2023 წლების სტრატეგიული მიზნები, ოპერაციული მიზნები და მათი განხორციელების რეალისტური მექანიზმები, რომელთა ლოგიკური მოდელი ასეთია:

სტრატეგიული განვითარების ლოგიკური მოდელი

სტრატეგია 2017-2023		2017	2018	2019	2020	2021	2022	2023	რესურსი	რისკები
I სტრატეგიული მიზანი	დისციპლინირებული ინტელექტუალური საქმიანობა და მისი სრულყოფა განათლების ყველა ასპექტის ხარისხის გაუმჯობესებით								შიდა რესურსები	
მიზანი 1.	ფაკულტეტი შესთავაზებს სტუდენტებს მაღალ ხარისხზე და შედეგზე ორიენტირებულ საგანმანათლებლო მომსახურებას									უმალეს განათლებაზე მოთხოვნის შემცირება პროფესიული განათლების სასარგებლოდ
მიზანი 2.	აკადემიური პერსონალის აკადემიზმის სტანდარტებისა და ანგარიშვალდებულების ზრდა									აკადემიური პერსონალის გაღიზიანება და გაუცხოება
მიზანი 3.	პედაგოგიკის თანამედროვე მიღწევების დანერგვა და პედაგოგთა პროფესიული მხარდაჭერის შემდგომი განვითარება									არასწორი თვითშეფასება; რეკომენდაციების მიუღებლობა

მიზანი 4.	სტუდენტის აკადემიური მიღწევების ხარისხის ზრდა									სტუდენტთა დაბალი მოტივაცია; რეაგირება მომთხოვნელობის ზრდაზე; შეფასების სისტემა; ლექციის წარმართვის ტიპი და ხარისხი.
მიზანი 5.	განათლების მიღების უფლების საყოველთაობის (ინკლუზიური განათლება) და სტუდენტისთვის მაღალი ხარისხის განათლების მიღების პირობების შექმნა და შემდგომი განვითარება									პოლიტიკური რისკი პრიორიტეტების ცვალებადობა
მიზანი 6.	სტუდენტთა დასაქმების ყოველმხრივი ხელშეწყობა									სამუშაო ადგილების სიმცირე
მიზანი 7.	“სწავლა მთელი ცხოვრების მანძილზე-LLL” გთსუს, როგორც ზრდასრულთა განათლების ავტორიტეტული დაწესებულების პოზიციონირება									“სწავლა მთელი ცხოვრების მანძილზე-LLL” მიმართ, სკეპტიკური დამოკიდებულება
მიზანი 8.	ბიზნესისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის ორგანიზაციული სტრუქტურის ეფექტიანობის გაუმჯობესება									სტრუქტურული ერთეულების შესაძლო ოპტიმიზაცია, თანამშრომელთა შემცირება
II სტრატეგიული მიზანი	კვლევის, ნოვაციებისა და კრეატიულობის ყოველმხრივი მხარდაჭერა; გთსუს ცნობადობის და რეპუტაციის ამაღლება								შიდა რესურსები; ფონდები გრანტები; დაკვეთები.	დაბალი მოტივაცია; ფონდების მიმართ უნდობლობა;

მიზანი 1.	სამეცნიერო საქმიანობის ხარისხის ამაღლება და ინტენსიფიკაცია ბიზნესის ადმინისტრირების და სოციალური მეცნიერებების მიმართულებით									დაბალი მოტივაცია; ფონდების მიმართ უნდობლობა; საერთაშორისო ღონისძიებებში ჩართვის შეუძლებლობა
მიზანი 2.	საერთაშორისო პუბლიკაციების წამახალისებელი პროექტების შემუშავება									დაბალი მოტივაცია; გამოქვეყნების მაღალი ხარჯები;
მიზანი 3.	სამეცნიერო აქტივობების მენეჯმენტის ხარისხის გაუმჯობესება									უსდ-ის სტატუსის ცვლილება
III სტრატეგიული მიზანი	ინსტიტუციური ინტერნაციონალიზაციის გაღრმავება და შემდგომი განვითარება								შიდა რესურსები; ფონდები გრანტები; დაკვეთები.	მიზნობრივი სეგმენტების არასწორი განსაზღვრა; პარტნიორთა მხრიდან ვალდებულებების შესრულებლობა; პოლიტიკური არასტაბილურობა
მიზანი 1.	უცხოურენოვანი, მათ შორის ერთობლივი პროგრამების მომზადება და უცხოელი სტუდენტების მოზიდვის ტაქტიკის შემუშავება									მიზნობრივი სეგმენტების არასწორი განსაზღვრა; სტუდენტური საცხოვრისის პრობლემა.
IV სტრატეგიული მიზანი	ფაკულტეტის ინსტიტუციური მდგრადობის უზრუნველყოფა								შიდა რესურსები; ფონდები გრანტები; დაკვეთები. შემოწირულობა	ბიუჯეტის არარაციონალურად დაგეგმვა; სტუდენტების მიერ სწავლის საფასურის დაგვიანებით გადახდა ან გადახდის უუნარობა;

										წარმატებლობა დაფინანსების ალტერნატიული წყაროების მოზიდვაში
მიზანი 1.	საუნივერსიტეტო გარემოს მდგრადობის უზრუნველყოფა. სტრატეგიულად ორიენტირებული ფიზიკური გარემოს შემდგომი განვითარება-განახლება									ბიუჯეტის არასტრატეგიული დაგეგმვა
მიზანი 2.	მდგრადი საზოგადოებრივი სტატუსის მოპოვება : გთოსუს როლის ზრდა საზოგადოების ტრანსფორმაციასა და განვითარებაში სწავლა სიცოცხლის ბოლომდე კონტექსტში									საზოგადოების ინერტული დამოკიდებულება ტრანსფორმაციისა და განვითარების მიმართ

9. მონიტორინგის გეგმა

მონიტორინგის გეგმა

N მიზანი	შეფასების იდიკატორი	შესრულების შუალედური სტატუსი (%)						შესრულების საბოლოო სტატუსი				
		2017	2018	2019	2020	2021	2022	2023	მიღწეულია	არსებითად მიღწეულია	ნაწილობრივ მიღწეულია	მიუღწეველია
I												
1	<ul style="list-style-type: none"> ▪ აკრედიტებული პროგრამების რაოდენობა ▪ ახალი პროგრამების რაოდენობა ▪ დამსაქმებელთა კმაყოფილების ზრდა ▪ ფაკულტეტის მოთხოვნის ზრდა -ჩარიცხულ და მობილობით გადმოსულ სტუდენტთა რაოდენობა 											
2	<ul style="list-style-type: none"> ▪ ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის საქმიანობის შეფასების ანგარიშები ▪ სტუდენტთა შეფასების შედეგები 											
3	<ul style="list-style-type: none"> ▪ ჩატარებული მეთოდური ღონისძიებების რაოდენობა ▪ გამოცდილების ურთიერთგაზიარების ღონისძიებების რაოდენობა 											
4	<ul style="list-style-type: none"> ▪ მოსწრება აკადემიური სტუდენტების ▪ ფინალურ გამოცდაზე (დამატებითი გათვალისწინებით) ჩაჭრილ სტუდენტთა რაოდენობა ▪ სტუდენტთა რაოდენობა, ვინც არ იქნა დაშვებული ქულების დაუგროვებლობის გამო ფინალურ გამოცდაზე ▪ სტუდენტთა აკადემიური მიღწევების ზრდის ღონისძიებები 											
5	<ul style="list-style-type: none"> ▪ ინდივიდუალური სასწავლო გეგმები 											

	<ul style="list-style-type: none"> ▪ სსსმ პირის კმაყოფილების კვლევა 												
6	<ul style="list-style-type: none"> ▪ დასაქმებულ სტუდენტთა რაოდენობა ▪ დასაქმებულ კურსდამთავრებულთა რაოდენობა 												
7	<ul style="list-style-type: none"> ▪ მომზადებული კურსები ზრდასრულთა განათლებისთვის ▪ ჩატარებული ტრენინგები, მოკლევადიანი, საშუალოვადიანი კურსები ზრდასრულთათვის ▪ მონაწილეთა რაოდენობა 												
8	<ul style="list-style-type: none"> ▪ ფაკულტეტის სტრუქტურების ანგარიშები ▪ სტრუქტურების საქმიანობის შეფასების შედეგები 												
II													
1	<ul style="list-style-type: none"> ▪ შიდა საფაკულტეტო სამეცნიერო კვლევების რაოდენობა ▪ მონოგრაფიები ▪ სტატიების რაოდენობა 												
2	<ul style="list-style-type: none"> ▪ პუბლიკაციები საერთაშორისო (მათ შორის იმფაქტ-ფაქტორის) ჟურნალებში 												
3	<ul style="list-style-type: none"> ▪ ჩატარებულ სამეცნიერო ღონისძიებათა რაოდენობა ▪ საგრანტო განაცხადის მომზადების რაოდენობა 												
III													
1	<ul style="list-style-type: none"> ▪ გთოსუს მიერ ჩატარებული საერთაშორისო ღონისძიებებში/აქტივობებში მონაწილეობა ▪ საერთაშორისო პარტნიორების რაოდენობა ▪ საერთაშორისო ღონისძიებებში მონაწილე თანამშრომელთა რაოდენობა ▪ საერთაშორისო პროექტების რაოდენობა 												
2	<ul style="list-style-type: none"> ▪ უცხო ენის ცოდნის შეფასების შედეგები ▪ სტუდენტთა ცნობიერების ამაღლების ღონისძიებები ▪ საერთაშორისო გაცვლით პროექტებში მონაწილე სტუდენტთა რაოდენობა ▪ საზღვარგარეთ მოკლევადიან კურსებზე დამსწრე სტუდენტთა რაოდენობა 												
3	<ul style="list-style-type: none"> ▪ მომზადებული და აკრედიტებული 												

	<p>უცხოურენოვანი პროგრამა</p> <ul style="list-style-type: none"> ▪ მომზადებული უცხოურენოვანი მოდულები (30 კრედიტიანი) ▪ მომზადებული უცხოურენოვანი კურსები ▪ ერთობლივი უცხოურენოვანი პროგრამა, მოდული, კურსი ▪ უცხოელ სტუდენტთა რაოდენობა 												
IV													
1	<ul style="list-style-type: none"> ▪ სტუდენტთა რაოდენობა ▪ ბიუჯეტი 												
2	<ul style="list-style-type: none"> ▪ ავილირებულ პროფესორთა რაოდენობა ▪ კადრების დენადობის მაჩვენებელი ▪ პერსონალის კმაყოფილების კვლევა 												
3	<ul style="list-style-type: none"> ▪ უნივერსიტეტის იმიჯის წინწაწევის, სტუდენტების მოზიდვის სტრატეგიების ჩატარებული ღონისძიებები ▪ რისკების ანალიზის და მართვის ღონისძიებები 												
4	<ul style="list-style-type: none"> ▪ საზოგადოების წარმომადგენელთათვის ჩატარებული საინფორმაციო, საკონსულტაციო, საგანმანათლებლო, საქველმოქმედო ღონისძიებები ▪ საზოგადოების აზრის კვლევის შედეგები 												

რეზიუმე

სტრატეგიული მიზნების მიღწევით გთოსუ ბიზნესისა და სოციალური მეცნიერებათა ფაკულტეტი უზრუნველყოფს მისი მისიის წარმატებით შესრულებას, სოციალურად და მორალურად პასუხისმგებლიანი დისციპლინირებული ინტელექტუალური საქმიანობის განხორციელებას და აკადემიური დანიშნულების სრულყოფას იმგვარი სასწავლო გარემოს შექმნით, რომელიც ფაკულტეტებს, პერსონალს და სტუდენტებს საშუალებას მისცემს შეიცნოს, კრიტიკულად განსაჯოს, დაიცვას და გადასცეს ის ცოდნა, კეთილგონიერება და ფასეულობები, რაც ხელს უწყობს ახლანდელ და მომავალ თაობებს ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებაში.